Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# #GEODEM 2023

## ქალები პოლიტიკურ პროცესებში: ქართული დემოკრატიის დაუძლეველი ბარიერები

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# კონფერენციის ანგარიში N4

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ და „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

**დემოკრატიის მე-8 ყოველწლიური კონფერენცია (#GEODEM),** "ქალები პოლიტიკურ პროცესებში: ქართული დემოკრატიის დაუძლეველი ბარიერები", კონფერენციის ანგარიში N4, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), მაისი-ივნისი, 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge

## მოკლე შინაარსი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფრო და უფრო საინტერესო ხდება, თუ რა სტრატეგიებს აირჩევენ პოლიტიკური პარტიები ელექტორალური წარმატების მისაღწევად, და რა საკითხები იქნება მათთვის პრიორიტეტული წინასაარჩევნო მზადების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი, მნიშვნელოვანია, რომ როგორც მმართველმა, ისე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყონ ზრუნვა ამომრჩევლის ყველა სეგმენტის კონკრეტული საჭიროებების ჯეროვნად ასახვაზე საკუთარ პროგრამებში. ცესკოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ქართული ელექტორატის 50%-ზე მეტი ქალია. ამიტომ ის, რომ პარტიები ხშირად თავიდან იცილებენ საკუთრივ ამ სეგმენტის პრობლემებზე საუბარს და საკუთარ დღის წესრიგში შეტანას, ეს შეიძლება პარტიული კონკურენციის ერთგვარ ანომალიად მივიჩნიოთ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით, ქალი ამომრჩეველი, როგორც წესი, უფრო აქტიურია ხმის მიცემის დროს, ვიდრე მამაკაცი ამომრჩეველი. ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ამომრჩევლის ამ სეგმენტს სჭირდება დამატებითი მექანიზმები, რათა საკუთარი საჭიროებები და ხედვა მუდმივად იყოს გაჟღერებული და დანახვადი ქართულ პოლიტიკურ პროცესში, განსაკუთრებით, რეგიონებსა და ეთნიკურ უმცირესობებში. თუმცა, ქართული პოლიტიკური გარემო ამგვარი მექანიზმების ნაკლებობას განიცდის. პოლიტიკური პარტიები ნაკლებად ახერხებენ რეგიონებში, და კონკრეტულად ქალ ამომრჩეველთან ჩართულობის უზრუნველყოფას, რისი მიზეზებიც აქტიური კვლევის საგანი უნდა იყოს. პანელი ორიენტირდება შემდეგ კითხვებზე:

იმისთვის, რომ პარტიულ პროგრამებსა და სტრატეგიებში ქალი ამომრჩევლის საჭიროებები ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი, გადამწყვეტია ქალი პოლიტიკოსების როლი, მათი აქტიურობა წინასაარჩევნო კამპანიის თუ, ზოგადად, პარტიის ხედვის დაგეგმვის პროცესში. წარმომადგენლობის ერთგვარი იგივეობრივი მოდელის პრინციპებზე დაყრდნობით, ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, უფრო ზუსტად გაიაზრონ ქალი ამომრჩევლის საჭიროებები და შეიტანონ ამგვარი საკითხები პარტიების დღის წესრიგში. გენდერული კვოტების პრინციპის შემოღებამ ქალი კანდიდატების რიცხვი პარტიულ საარჩევნო სიებში გაზარდა, თუმცა,

საინტერესოა, როგორ არიან ქალები წარმოდგენილი საკუთარ პარტიებში, და რამდენად აქვთ რეალური გავლენა მათ პარტიების დღის წესრიგზე. შესაბამისად, მეორე პანელი განიხილავს ქართული პოლიტიკური პარტიების წევრი ქალების როლს პარტიის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში და შიდაპარტიული დემოკრატიის გამოწვევებს ამ მიმართულებით.

2023 წლის მე-8-ე ყოველწლიური დემოკრატიის კონფერენცია სწორედ ზემოთ აღნიშნულ თემებს ეხებოდა. კონფერენციის შესავალში მისასალმებელი სიტყვა თქვა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, **რენატა სკარჯიუტე კერესელიძემ** თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმაზე რომ ქალი ამომრჩევლის ნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია და ასევე თქვა რომ პოლიტიკურ პარტიებს ეს გამოწვევად უდგათ. მან აღნიშნა, რომ ქალი ამომრჩევლები უფრო კრიტიკულად აფასებენ ქვეყნის განვითარებას და ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს, ამგვარად მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი ხედვების გათვალისწინება აუცილებელია და ამის მისაღწევად კიდევ ბევრია სამუშაო. შემდეგ მან კონფერენციის პანელური დისკუსიების თემები წარადგინა და სიტყვა გადასცა საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის ელჩს, **ჰეიდი გრაუს**. ელჩმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ წლებია გენდერული თანასწორობის მისაღწევად დისკუსია მიმდინარეობს, ასევე გაიხსენა მისი ციურიხის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი სადაც ეს თემა თაობის მიზნად იყო დასახული და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ახლაც იგივე პრობლემაზე უწევს საზოგადოებას საუბარი როგორც შვეიცარიაში, ისე საქართველოში, თუმცა განსხვავებული ხარისხით. ამიტომ, მან თქვა რომ მას უწევს გამეორება იმის რომ ქალთა ინკლუზია, მათი პოლიტიკაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან დემოკრატიის განმარტება სწორედაც რომ წარმომადგენლობა და ინკლუზიაა. მისი თქმით, არ არსებობს ნამდვილი დემოკრატია ქალების და ქალთა სრული და აზრიანი მონაწილეობის გარეშე.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიხსნა პირველი პანელური დისკუსია თემაზე *"ქალი ამომრჩეველი საქართველოში და მათი საჭიროებები პარტიების დღის წესრიგში,"* რასაც მოდერატორობა გაუწია პროფესორმა **იაგო კაჭკაჭიშვილმა** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). აღნიშნული პანელური დისკუსიის მიზანი იყო ქალი ამომრჩევლების საჭიროებების განხილვა კვლევებსა და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. ხოლო თემაზე

მომხსენებლები იყვნენ **თეონა ყუფუნია,** (ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), **თამარ საბედაშვილი** (გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)), **ნინო დოლიძე**, (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)), **თამთა მიქელაძე,** (სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC)). მეორე პანელური დისკუსია დაეთმო თემას *"ქალი პოლიტიკოსები და შიდაპარტიული დემოკრატია,"* რისი მოდერატორიც იყო პროფესორი **დავით აფრასიძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). პანელური დისკუსიის მიზანი იყო შიდა პარტიული დემოკრატიის განხილვა ქალთა ჩართულობის და წარმომადგენლობის ხელშეწყობის კუთხით. მეორე პანელი დაიწყო საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი პოლიტიკის ანალიტიკოსის, **სალომე კანდელაკის** პოლიტიკის დოკუმენტის შედეგების პრეზენტაციით, რომელიც შეეხებოდა შიდაპარტიულ სტრუქტურებში ქალთა ჩართულობის მექანიზმებს, ასევე იმას, თუ როგორ იყენებენ პარტიები გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ გარანტიებს. ხოლო პრეზენტაციის შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ ქალი პარლამენტის დეპუტატები, კერძოდ **ხატია დეკანოიძე** (დამოუკიდებელი დეპუტატი), **ანა ნაცვლიშვილი** (პარტია ლელო საქართველოსთვის), **ანა ბუჩუკური** (პარტია გახარია საქართველოსთვის). მესამე პანელური დისკუსია დაეთმო თემას "ქალი ამომრჩევლის პოლიტიკური ჩართულობა და წახალისების გზები", რომელსაც მოდერაცია გაუწია **ლევან ცუცქირიძემ** (აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD)). აღნიშნული პანელ-დისკუსიის მიზანი იყო ქალი ამომრჩევლების პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების გზებზე მსჯელობა და გამოცდილების გაზიარება. ხოლო მომხსენებლები გახლდათ გენდერის კვლევაზე მომუშავე ექსპერტები, კერძოდ **მარიამ კობალაძე** (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC-საქართველო)), **სონია შიფფერსი** (ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისი), **თამარ ბაგრატია** (ექსპერტი გენდერის საკითხში) და **ელენე რუსეცკაია** (ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC)). მოხსენებების შემდეგ ყოველი პანელის დასრულებისას გაიმართა დისკუსია, სადაც აუდიტორიას მიეცა კითხვების დასმის და კომენტარის გაკეთების საშუალება.

## კონფერენციის ფარგლებში გაჟღერებული მთავარი მიგნებები:

### *პანელი I: ქალი ამომრჩეველი საქართველოში და მათი საჭიროებები პარტიების დღის წესრიგში*

**ძირითადი მიგნებები:**

- პოლიტიკური პარტიები არ, ან ვერ ახდენენ ამომრჩევლის სეგმენტაციას, მათ შორის, ვერც სქესის მიხედვით, და ვერ კონცენტრირდებიან ქალ ელექტორატზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოსახლეობის 54% და ამომრჩევლის 52% არიან;
- პარტიებისთვის პრაგმატული პოლიტიკის ნაწილი შეიძლება იყოს ის, რომ მოახდინონ საკუთარი ამომრჩევლის, მათ შორის, ქალი ამომრჩევლის სეგმენტიზაცია პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის, მოწყვლადობის მიხედვით, და ასე დაამყარონ კომუნიკაცია ელექტორატთან;
- ქალი ამომრჩეველი ბოლო დროს ბევრად სენსიტიური გახდა საგარეოპოლიტიკურ ვექტორთან და ქვეყნის განვითარების კურსთან მიმართებით; ბევრად უფრო კრიტიკული ხელისუფლების მიმართ;
- მნიშვნელოვანია ქალ ამომრჩეველზე მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების მიერ, რათა მათ ისწავლონ, როგორ დააყენონ საკუთარი მოთხოვნები პარტიების წინაშე და როგორ გახდნენ ნაკლებად მოწყვლადები სხვადასხვა გავლენების მიმართ, რის შედეგადაც პარტიები თავად მოისურვებენ ქალთა საკითხების საკუთარ დღის წესრიგში დაყენებას;
- ქალთა საჯარო სივრცეში გამოსვლა არ არის ქალების ბუნებრივი მდგომარეობა, შესაბამისად ქალისთვის მეტი ფილტრი არსებობს სოციუმში, ვიდრე მამაკაცისთვის და ქალი მეტად ადვილად ხდება კრიტიკის საგანი, ვიდრე მამაკაცი;
- მმართველობაში ზრდადი ავტორიტარული და კონსერვატიული ტენდენციები პირდაპირ ახდენს გავლენას ქალების გარიყვაზე პოლიტიკური პროცესისგან, მათ შორის, პოლიტიკური უფლებების განხორციელებისგან;

## *პანელი II: ქალი პოლიტიკოსები და შიდაპარტიული დემოკრატია*

**ძირითადი მიგნებები:**

- პარლამენტში საკითხების გარშემო ქალი პოლიტიკოსები უფრო მარტივად ერთიანდებიან;
- ქალი პოლიტიკოსების მიმართ დისკრიმინაციის დაგმობის კუთხით პარტიებს არაერთგვაროვანი რეაქციები აქვთ;
- გენდერულ თანასწორობასთან  დაკავშირებით დაბალია მგრძნობელობა და ცნობიერება რეგიონებში;
- პარტიების მიერ ქალი პოლიტიკოსების ჩართვა უფრო საკანონმდებლო ვალდებულებაა, ვიდრე გენდერული ბალანსის საჭიროების რეალურად მათ მიერ გააზრება;
- პარტიებში არსებული ქალთა საბჭოების მიზანი უფრო მეტად ქალი ამომრჩევლების მოზიდვაა, ვიდრე მათი პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა;
- გენდერული კვოტირება დღესდღეობით ერთადერთი გზაა ქალების პოლიტიკურად გააქტიურების და პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მეტნაკლებად დასაცავად.
- პარტიებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების როლი ფასადურია;
- პარტიებში ძალაუფლება ძირითადად კაც პოლიტიკოსებს აქვთ გამომდინარე იქიდან, რომ მათ ფინანსური კაპიტალი აქვთ;
- ქალი პოლიტიკოსების პოლიტიკური საქმიანობა ინსტიტუციური გარანტიის გარეშე ორმაგად რთულია.

## *პანელი III: ქალი ამომრჩევლის პოლიტიკური ჩართულობა და წახალისების გზები*

**ძირითადი მიგნებები:**

- პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებში ჯეროვანი პოლიტიკური თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ჩვენ მივაღწიოთ ხელშესახებ პროგრესს.
- საქართველოში გენდერულად ყველაზე უთანასწორო პოლიტიკური პარტიები ასევე არიან ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიები.
- რაოდენობრივად ქალი და კაცის ამომრჩეველი აქტიურობით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ვინაიდან უფრო მეტი ქალია რეგისტრირებული, პროცენტულად კაცების აქტიურობა ოდნავ უფრო მაღალია.
- თბილისში 50 საკრებულოს წევრიდან მხოლოდ 13 (26%)-ია ქალი, ქუთაისში 21-*დან* 8 (38%) და ბათუმში 35-*დან* 10 (28%).
- ონლაინ ძალადობის საშუალო კოეფიციენტის მიხედვით, ქალებს დაახლოებით სამჯერ უფრო მეტად ესხმიან თავს, ვიდრე კაცებს.
- რაოდენობრივად შეიძლება უფრო მეტი ქალი მოდის არჩევნებზე, მაგრამ აქტივობა ქალების ბევრად უფრო დაბალია ვიდრე კაცი ამომრჩევლის.
- პოლიტიკურ პარტიებში რეალურად არ ითვალისწინებენ ქალი პოლიტიკოსების წინაშე მდგარ გამოწვევებს და არ უქმნიან სამართლიან პირობებს, იმისთვის რომ ისინი კაცების მსგავსად თანაბრად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიმღებ პროცესებში.

## პანელი I: ქალი ამომრჩეველი საქართველოში და მათი საჭიროებები პარტიების დღის წესრიგში

**24 მაისი, 2023**

| | |
|---|---|
| **მოდერატორი:** | **იაგო კაჭკაჭიშვილი -** პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **მომხსენებლები:** | • **თეონა ყუფუნია** - დირექტორის მოადგილე, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)<br>• **თამარ საბედაშვილი** - საქართველოში წარმომადგენლის მოადგილე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)<br>• **ნინო დოლიძე** - აღმასრულებელი დირექტორი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)<br>• **თამთა მიქელაძე** - დირექტორი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC) |

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რას ელიან ქალი ამომრჩევლები პოლიტიკური პარტიებისგან?
- რატომ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიებისთვის ქალი ამომრჩევლის საჭიროებების გააზრება და მათზე რეაგირება?
- რამდენად ახერხებენ ქართული პოლიტიკური პარტიები ქალი ამომრჩევლის საჭიროებების ასახვას საკუთარ დღის წესრიგში?
- როგორ შეიძლება, საერთაშორისო გამოცდილება და საერთაშორისო აქტორები დაეხმარონ პარტიებს ქალ ამომრჩეველთან მუშაობის თვალსაზრისით საქართველოში?

პირველი პანელი მოკლე შესავლით გახსნა მოდერატორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა

პანელის ფარგლებში განსახილველი საკითხების მრავალფეროვნებაზე. მისი თქმით, ერთ-ერთი გამოწვევა პარტიებისთვის არის ის, რომ ამომრჩევლების მიმართ ჰოლისტური მიდგომა აქვთ, რაც ნიშნავს, რომ პარტიებს ამომრჩევლის სრულ კორპუსზე აქვთ პრეტენზია. შედეგად, შესაბამისობას კარგავენ საზოგადოების სტრატიფიცირებულ სტრუქტურასთან. იაგო კაჭკაჭიშვილმა ამ ფენომენს უწოდა „პოლიტიკური სიხარბე“ - როცა პარტიები ცდილობენ საზოგადოების ყველა სეგმენტის მობილიზებას და რეკრუტირებას ლოიალური ამომრჩევლების სახით. მოდერატორმა გამოყო ამომრჩევლის სტრატიფიცირების სხვადასხვა მეთოდები - დემოგრაფიული, იდეოლოგიური, იდენტობასთან დაკავშირებული და ა.შ. თუმცა აქვე ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში პარტიული პოლიტიკა არ არის თანმიმდევრული ამ ჯგუფებზე ორიენტაციის თვალსაზრისით.

იაგო კაჭკაჭიშვილის თქმით, კონკრეტულად ქალ ამომრჩეველთან მიმართებით, ამ თვალსაზრისით, სიტუაცია არაადეკვატურია. პარტიათა საკომუნიკაციო მესიჯები და სტრატეგია არ მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ გზავნილებს ქალების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად ქალებშიც სხვადასხვა ქვეჯგუფები არსებობს - ურბანული, შშმ, მარტოხელა დედები, სასოფლო და ა.შ. ამ თვალსაზრისით, ქართული პოლიტიკური სცენა ძალიან ღარიბია  და არადივერსიფიცირებული.

პანელი გახსნა **თეონა ყუფუნიამ,** ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რომლის მთავარი აქცენტები შეეხებოდა იმას, რომ ქალი ელექტორატი არ არის ნაკვლევი საკმარისად. ისინი დანახული არიან, როგორც ერთგვაროვანი ჯგუფი, შესაბამისად პარტიები არ იცნობენ ქალ ელექტორატს. მიუხედავად იმისა, რომ ერთეული პარტიები სხვადასხვა ნიშებზე მუშაობენ, მეინსტრიმულად ისინი არ კონცენტრირდებიან ქალებზე. საზოგადოებაში აქამდე უფრო აქტუალური იყო კვოტებზე და შიდაპარტიული დემოკრატიაზე საუბარი ქალთა გაძლიერების კუთხით, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია, თანდათან ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ბევრი გააკეთეს, რომ ამ მიმართულებით გარღვევა მოეხდინათ.

თუმცა, თეონა ყუფუნიას თქმით, ეს ზღვაში წვეთია. უფრო მეტი უნდა კეთდებოდეს ქალი ამომრჩევლის მიმართულებით სამუშაოდ, რადგან ქალი არის მოსახლეობის 52% და ამომრჩევლის 54%. ეს იმდენად დიდი რაოდენობაა, რომ კვლევები რაც არსებობს, საკითხის

მოცულობასთან შედარებით, ძალიან მწირია. შესაბამისად, სრულფასოვანი ტენდენცია ქალი ამომრჩევლის შესახებ არ არსებობს. მომხსენებელმა მაგალითად მოიყვანა სტატისტიკური მონაცემი, რომლის მიხედვით, 5-6%-ით ჩამორჩება ქალების ელექტორალური აქტიურობა მამაკაცებისას. ასეთ საკითხებს შედარებით ფუნდამენტური კვლევა სჭირდება. ქალი ამომრჩევლის საჭიროებებზე საუბრისას მუნიციპალიტეტებს და მათ სპეციფიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა გარკვეულ გარდატეხებზე საუბარი შეიძლება.

როგორც გამოსვლაში ითქვა, NDI-ის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ დიდი განსხვავება საკითხების მიმართ არ არის ქალ და კაც ამომრჩეველს შორის, მაგალითად ტერიტორიულ მთლიანობასთან, ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ არსებობს საკითხები, რომლებიც მკვეთრად გამოყოფს ქალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემებს - ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, კვოტირების სისტემა და ა.შ. ამ შემთხვევებში, მეტი ქალი ამბობს, რომ არსებობს პრობლემა, ვიდრე კაცი. თეონა ყუფუნიას დაკვირვებით, მნიშვნელოვანია განათლება, როგორც საკითხი, რომლითაც ქალები განსაკუთრებით ინტერესდებიან. ბოლო ერთი წელია, ქალები განსაკუთრებით კრიტიკულები არიან საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ. ეს ეხება რუსეთის მოქალაქეების შემოსვლას, ვიზების საკითხს და ბევრ სხვა საგარეოპოლიტიკურ საკითხს, სადაც ისინი უფრო კრიტიკულები არიან, ვიდრე მამაკაცები. თუმცა, მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი, ეს ტენდენცია იყოს განგრძობადი, რადგან ის მხოლოდ ბოლოდროინდელ სტატისტიკას ეფუძნება.

მთლიანობაში, ქალი მოქალაქეები უფრო ახლოს დგანან ოპოზიციური ამომრჩევლის ხედვებთან. უფრო კონკრეტულად, ნაკლებად ფიქრობენ ემიგრაციაზე, ნაკლები ქალი ფიქრობს რომ თავს დაცულად გრძნობს, მეტად ღელავენ უსაფრთხოებაზე, მეტად ამბობენ, რომ ქალები და კაცები პარლამენტში უნდა იყვნენ თანაბრად. ამ განსხვავებებს ფონად გასდევს ის, რომ ქალები უფრო ღარიბები არიან, უფრო ნაკლებად ამბობენ, რომ დასაქმებულები არიან და ნაკლებად არიან დაინტერესებული სამსახურის შოვნით.

შესაბამისად, როგორც თეონა ყუფუნია თვლის, ბევრი საინტერესო მასალა არსებობს იმისთვის, რომ პარტიებმა მოახდინონ ამ საკითხების იდენტიფიცირება და დაიწყონ მუშაობა. მომხსენებლის აზრით, ლოგიკურია, პარტიებმა ეს მუშაობა გააქტიურონ, რადგან

გარდა იმისა, რომ ქალები ელექტორატის ნახევარზე მეტია, ისინი ასევე გავლენის აგენტები შეიძლება იყვნენ, რადგან სპეციფიკური სოციალური კავშირები გააჩნიათ. ბოლოს, მომხსენებელმა საერთაშორისო გამოცდილება გაიხსენა და თქვა, რომ სხვა ქვეყნებში ქალებმა დიდი პოლიტიკური გარდატეხები მოახდინეს, მაგალითად ბრიტანეთში ქალი ელექტორატი აღარაა ისეთი კონსერვატიული, როგორც აქამდე და ეს გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ დინამიკაზე. ამერიკაში ქალ ამომრჩეველს დიდი გავლენა აქვს დემოკრატიული ღირებულებების სასარგებლოდ. თეონა ყუფუნიას დასკვნით, ეს სერიოზული სოციალური ჯგუფია და მეტი ინტერესი ამ მიმართულებით საჭიროა.

პანელზე მომდევნო მომხსენებლის, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოადგილის, **სალომე საბედაშვილის** მთავარი გზავნილი იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური უფლებები საქართველოში მოპოვებულია, ისინი არ არის ეფექტიანად გამოყენებული, ანუ დასაცავია პოლიტიკური უფლების გამოყენება. დე იურე ქალებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ იმდენი ბარიერი და შეზღუდვაა, რომ ამ უფლებას ეფექტიანად ვერ ახორციელებს ქალი ამომრჩეველი. ეს ბარიერები შეიძლება იყოს ოჯახის ჩარევა, სხვადასხვა გავლენები და ა.შ. შედეგად, სრულფასოვანი დემოკრატიული პროცესი არ ხორციელდება.

სალომე საბედაშვილის თქმით, საერთაშორისო აქტორებმა უნდა იმუშაონ ქალ ამომრჩეველთან, როგორც ჯგუფთან, რომ მათ იპოვონ თავისი ხმა და მერე პარტიები უფრო გამონახავენ რესურსებს მათთან კომუნიკაციისთვის. მომხსენებელმა მოიყვანა აშშ_ის მაგალითი, სადაც არსებობს ქალ ამომრჩეველთა ლიგა, რომელიც 1920 წელს შეიქმნა და ქალებმა მიიღეს ფედერალურ დონეზე უფლებები, დღეს მუშაობს ეს ლიგა, უპარტიოა, აქტივიზმზე დაფუძნებულია, და ამომრჩევლის განათლებას ისახავს მიზნად. მომხსენებლის თქმით, ეს არის ყველაზე სწორი ინვესტირება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რა პასუხისმგებლობაა პოლიტიკური უფლება, რათა ამით მანიპულირების უფლება არ მისცენ ქალებმა არავის. საერთაშორისო გამოცდილების სახით განხილული იყო პანელზე სხვადასხვა მიღწევები, რაც განახორციელა ნახსენებმა ქალ ამომრჩეველთა ლიგამ.

სალომე საბედაშვილმა ახსენა გაეროს ქალთა კონვენცია, რომელიც შეეხება პოლიტიკური უფლების განხორციელებას. დოკუმენტში ჩვენი ცხოვრების ორ სფეროზე კეთდება აქცენტი - საჯარო და საოჯახო სივრცე. ისტორიულად საჯარო სფეროში, ძირითადად, კაცები იყვნენ წარმოდგენილი, და ქალების სამოქმედო არეალი შემოფარგლული იყო საოჯახო სივრცით, თუმცა ქალებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ, რომ გაერღვიათ ეს სივრცე და საჯარო სფეროში გასულიყვნენ. ქალი არაა ჰომოგენური სეგმენტი, მაგრამ მათთვის, როგორც საერთო ჯგუფისთვის საჯარო სფერო, საჯარო აქტივობა არ არის ბუნებრივი, მოწონებული და წახალისებული. არსებობს გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი შეხედულებები ქალთა საჯარო აქტივობის შესახებ, რომლებიც, ვიდრე ცნობიერში ამოვა, უკვე კრიტიკულია, ქალს მეტი ფილტრი აქვს საჯარო სივრცეში, ვიდრე კაცს. ამიტომ, ამ სფეროს შეცვლისთვის საჭიროა, ქალები იყვნენ 30% და მეტი ნებისმიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომ ის კულტურა რაც ამ უწყებებშია, შეიცვალოს. სხვა შემთხვევაში არ უნდა ველოდოთ, რომ უმცირესობის რანგში ქალთა ჯგუფი ბევრს შეცვლის.

შესაბამისად, სალომე საბედაშვილის აზრით, საკითხს პარტიების პრიზმიდან კი არ უნდა შევხედოთ, არამედ ამომრჩევლის პრიზმიდან. მათ უნდა გაიჩინონ აზრი მთელ რიგ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია თავდაცვასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და ა.შ. და არა მხოლოდ მათთვის სპეციფიკურ საკითხებზე.

პანელი გააგრძელა მესამე მომხსენებელმა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელმა დირექტორმა **ნინო დოლიძემ,** რომელმაც საუბარი დაიწყო იმით, რომ ამ დრომდე ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე უფრო იყო დისკუსიების აქცენტი, ვიდრე ქალი ამომრჩევლის დასმაზე, როგორც სეგმენტზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი პუნქტი, რაზეც მან ყურადღება გაამახვილა, არის კანონმდებლობა. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში კანონმდებლობა გენდერულად ნეიტრალურია, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიულად ქალთა მიმართ ტოლერანტული სამართლებრივი სახელმწიფოს გამოცდილება გვაქვს, თუმცა ისტორიულმა კონტექსტმა შემდეგ განაპირობა უკუსვლა ქალი ამომრჩევლის უფლებების დაცვის კუთხით. ნინო დოლიძის თქმით, „გენდერ-ნეიტრალური“ არ ნიშნავს იმას, რომ უფლებები ნეიტრალურად და თანასწორად გამოიყენება.

მეორე საკითხი, რაზეც მომხსენებელმა გაამახვილა ყურადღება, არის სტატისტიკა - ცესკოს ბოლო მონაცემების მიხედვით, 54%-მდეა ქალი, მაგრამ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში 49%-მა მიიღო მონაწილეობა, როცა ნაკლები კაცი ამომრჩევლიდან უფრო მეტი მოვიდა არჩევნებზე. ამ მონაცემებზე მსჯელობისას, რეგიონული ჭრილი მნიშვნელოვანია - მარნეულში ყველაზე დაბალია ეს მაჩვენებელი, და ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში და იმერეთის რეგიონებში. ამგვარად, ქალი ამომრჩეველი არ უნდა განვიხილოთ ერთიან ჯგუფად.

გარდა ამისა, სპიკერმა ისაუბრა პარტიებზე, რომლებიც საქართველოსი არის ახალგაზრდა და სუსტი, რაც არის განმაპირობებელი იმისა, რომ ნაკლებად მუშაობენ ისინი სეგმენტურად. პარტიები, როგორც წესი იქმნებიან სხვადასხვა სეგმენტური ჯგუფების ირგვლივ, საქართველოში კი ისინი ყალიბდება პერსონების გარშემო და ყველა ელექტორალურ ჯგუფზე ცდილობენ გასვლას. საქართველოში პარტიებს მოკლე სიცოცხლისუნარიანობა აქვთ და პარტიული განვითარების ისტორია აჩვენებს რომ თუ პარტია დიდი ხნის არაა, ნაკლებად მუშაობს შიდაპარტიულ სტრუქტურებზე. ამასთან, ზოგადად გენდერული საკითხი არ არის მეინსტრიმული. ნინო დოლიძემ, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, ახსენა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებს სჭირდებოდათ ძალისხმევა, რომ პარტიების რიგებში მეტი ქალი ენახათ მიუხედავად იმისა, რომ პარტიებს ქალები ჰყავდათ, თუმცა ლიდერები არ თმობდნენ ადგილებს.

მომხსენებელი ამომრჩევლის და ქალების სეგმენტაციას და ასე მუშაობას პრაგმატულ ნაბიჯად მიიჩნევს. მან გააჟღერა თავისი დაკვირვება პარტიული მხარდამჭერების სეგმენტაციის მიმართულებითაც: არსებობენ პარტიები, რომლებსაც მხარს უჭერენ მაღალი განათლების მქონე ქალები, ან ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობის, ან ახალგაზრდა ქალები და ა.შ. ქალებს შორის სეგმენტაციას არ აქცევენ ყურადღებას პარტიები და არ აქვთ ეს შესწავლილი ამ თვალსაზრისით საკუთარი ამომრჩეველი. გარდა იმისა, რომ ეს პრაგმატულად მნიშვნელოვანია, ქალი ამომრჩევლის საჭიროებების დაყენება და გათვალისწინებაა აუცილებელი და საყურადღებო. წინა მომხსენებლების მსგავსად, ნინო დოლიძემ ხაზი გაუსვა იმას რომ ქალები ბევრად პროევროპულები არიან. მათ შორის, ამის

შინაარსობრივ ჩაშლას თუ გავაკეთებთ, იმიტომ, რომ ქალებს ბევრად სხვანაირი ხედვა აქვთ საკუთარი შვილების განათლებასთან დაკავშირებით.

ბოლო საკითხი, რასაც მომხსენებელმა გაუსვა ხაზი, არის ქალების არჩევნებში მონაწილეობის საკითხები და არის თუ არა მათზე გავლენები განსხვავებული, მაგალითად, დამკვირვებლების და კოორდინატორების ჭრილში. ქალები გაცილებით მოწყვლადები არიან ზეწოლის მიმართ ოჯახის წევრების სამუშაო ადგილების შესახებ, შვილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და სხვა. ასეთ დროს, არაპირდაპირი ზეწოლით მათზე მოქმედება უფრო ადვილად შეიძლება. მომხსენებელმა ცალკე კატეგორიად გამოყო ქალი პედაგოგები, რომლებსაც ცალკე საფრთხეები აქვთ, ცალკე საჭიროებები აქვთ. შესაბამისად, მათი ინსტრუმენტალიზება ადვილად ხდება. ასეთი სეგმენტირებული არ არის არცერთი პარტიის დღის წესრიგში.

დასკვნის სახით, ნინო დოლიძემ, ხაზი გაუსვა იმას, რომ მნიშვნელოვანია, ქალებმა ისწავლონ, დაუყენონ მოთხოვნები პარტიებს და არა პირიქით. პარტიები ვერ აკმაყოფილებენ იმ კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც ქალებს აქვთ. პლატფორმებში იშვიათადაა ცალკე გამოყოფილი ქალების საკითხები, ამას პროგრამებში ვერ ვნახავთ. ამას ისიც იწვევს, რომ პარტიების მხრიდან საკმარისი მხარდაჭერა არაა საკუთარი წევრი ქალების მიმართ, რომ მათ ჯეროვნად იმუშაონ ქალთა საჭიროებებზე.

პანელის ბოლო მომხსენებელი იყო **სოციალური სამართლიანობის ცენტრის დირექტორი თამთა მიქელაძე**. მისი თქმით, პირველი, რაც უნდა იყოს განხილვაში, არის ის კონტექსტი, რომელიც არსებობს ქვეყანაში, ახალი პოლიტიკური ტენდენციები რომლებიც მმართველობაში ჩნდება და პირდაპირი გავლენა ექნება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე. ავტორიტარიზმის და პოლარიზების მზარდი ნიშნები, რომლებიც პოლიტიკურ ველს ხდის აგრესიულს და ანტაგონისტურს, აფექტურს. შესაბამისად, პოლიტიკური გარემო ღირებულებებზე და საჭიროებებზე საერთოდ არაა მორგებული, და ქალები ამ გარემოში საკუთარ ადგილს ვერ პოულობენ. აგრესია და მტრობა წალეკავს პოლიტიკურ ველს და სოციალურად მგრძნობიარე პოლიტიკის შექმნა ძალიან რთული ხდება.

მომხსენებლის თქმით, შესამჩნევია, რომ სხვადასხვა პარტიებიდან ქალები ახერხებენ სოლიდარობის შენარჩუნებას, რაც ნაკლებია მამაკაცებში. საინტერესოა გენდერულ საბჭოზე დაკვირვება. ოპოზიცია და ხელისუფლება აქ ასევე ახერხებენ თანამშრომლობას, მაგრამ ახლა კრიზისშია ეს ნაწილიც. ავტორიტარული ტენდენციები პირდაპირ ახდენს გავლენას ქალების გარიყვაზე. მეორე მხრივ, აშკარაა კონსერვატიული პოპულიზმის, როგორც ხელისუფლების საკომუნიკაციო ჩარჩოს და პოლიტიკური ენის გაძლიერება, რომლებსაც ჰომოფობიური შინაარსი აქვს. თამთა მიქელაძემ ახსენა პრემიერ ღარიბაშვილის გამოსვლა CPAC კონფერენციაზე, სადაც მან ოჯახის იერარქიაზე ილაპარაკა და გააჩინა შიშები, რომ ამ რიტორიკამ შეიძლება მკვეთრად ანტიგენდერული შინაარსი შეიძინოს და თავს დაესხას იმ პროგრესულ დისკურსულ გარღვევებს რაც საზოგადოებაში გვაქვს ამ მიმართულებით.

სპიკერი პოზიტიურ ფაქტორად ხედავს იმას, რომ ქალები ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ საზოგადოებებში ავანგარდში არიან, მაგალითად პოლონეთში, არგენტინასა და ამერიკაში მათ მოახერხეს ახალი ტიპის მოძრაობების შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შინაარსები შეიძინა. საქართველოში წარმატებულ მაგალითებად მოიყვანა თამთა მიქელაძემ მარტის მოვლენების დროს ქალთა აქტიურობა, ასევე აქონდროპლაზიით დაავადებული ბავშვების დედების წარმატება და ა.შ.

მომხსენებელმა კიდევ ერთ პრობლემად დასვა ის, თუ რა არის უნდობლობის მიზეზები პარტიების მიმართ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახსნა ის არის, რომ პარტიები ვერ გადიან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან შინაარსებზე. ჯანმრთელობა, წიგნებზე ხელმისაწვდომობა, ბაღებზე ხელმისაწვდომობა, კითხვის თვალსაზრისით დაბალი მაჩვენებელი, ჯანდაცვის მიმართულება და მძიმე დაავადებების მიმართ სენსიტიურობა შეიძლება იყოს ის საკითხები, რაც ქალებს განსაკუთრებით აწუხებთ. ამიტომ თუ ქალები არ დაინახავენ რომ არა მხოლოდ პოლიტიკური კულტურა იცვლება, არამედ პოლიტიკის შინაარსი იცვლება, ბუნებრივია რომ უნდობლობის აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება.

თამთა მიქელაძის თქმით, ქალთა ორგანიზაციების პრიორიტეტებში უფრო მეტადაა პოლიტიკური მონაწილეობის, სტერეოტიპებთან გამკლავების საკითხები, მაგრამ მნიშვნელოვანია იმ საკითხებზე მსჯელობაც, როგორიცაა პირადი და საჯარო სივრცეების გამიჯნულობა - შინ შრომა, აუნაზღაურებელი შრომა, ის, რომ ორმაგი ტვირთის წინაშე არიან

ქალები, და დგებიან არჩევანის წინაშე - დასაქმდნენ თუ ზრუნვის ტვირთს გაუძლონ. ასეთ ყოველდღიურ გამოწვევებთან საბრძოლველად და პარტიების მხრიდან მათზე საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს თვითმმართველობის და ყოველდღიური მონაწილეობის დონეზე მუშაობა, რადგან დემოკრატია მხოლოდ ელექტორალური პროცესი არაა. საჭიროა, დემოკრატია წახალისდეს ყველა დონეზე.

მოხსენებებს მოჰყვა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც აუდიტორიიდან კითხვების სახით დაისვა ისეთი საკითხები და პრობლემები, როგორიცაა მომავალი არჩევნების კონტექსტში დომინანტი პარტიის წნეხი, რომელსაც ოპოზიციური პარტიები ვერ ეწინააღმდეგებიან და რაღაც თემებზე ღიად იკავებენ თავს, შესაბამისად ქალებისთვის სიძნელე იქმნება, რომ პროგრესული იდეების გამო იჩაგრებიან თავიანთ პარტიებში. ასევე, განხილვის საგანი იყო პოლიტიკაში მოსული ქალების რეპუტაციული ზიანი. კითხვის სახით წამოიჭრა პარტიებისთვის დახმარების სტრატეგიები საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან 2024 წლის არჩევნებისთვის ქალთა ჩართულობის და პოლიტიკური გააქტიურებისთვის საარჩევნო კამპანიისთვის მომზადების მიზნით, ასევე, მუნიციპალურ დონეზე იმ ქალთა წინაშე არსებული ბარიერები, რომლებსაც სურთ რომ პოლიტიკაში მოვიდნენ.

ამ საკითხებზე პასუხად **თეონა ყუფუნიამ** გამოკვეთა, რომ პარტიების პრიზმიდან დანახული ქალთა მონაწილეობა ერთგვაროვანია, რადგან ისინი სისტემურად და ინსტიტუციონალურად ერთნაირია. მაგრამ პირადად ქალებისთვის, ცხადია, განსხვავდება ცენტრსა და რეგიონებს შორის გამოწვევები, მეტი წვდომის მხრივ ეროვნულ მედიაზე, მეტ რესურსზე, და ა.შ. აქცენტი დაისვა ინფრასტრუქტურულ გამოწვევებზე, როგორიცაა წყალი, რადგან ესეც კი მეტ გამოწვევას აჩენს რეგიონში მცხოვრები ქალისთვის, ვიდრე კაცისთვის. **თამთა მიქელაძემ** გაუსვა ხაზი იმას, რომ როგორც კი უმცირესობების საკითხებზე დგება რაიმე სახის დაძაბულობა, პარტიების დიდი ნაწილი ცდილობს, რომ დუმილის სტრატეგია ჰქონდეთ. მაგრამ პროევროპული განწყობების მაღალი დონე პოზიტიურად ისახება ამგვარ კრიზისზე. და ქალებს ასეთ საკითხების დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ასეთ შემთხვევაში, ქალი პოლიტიკოსები, მოსალოდნელია, რომ ასეთ თემებზე საუბრის შემდეგ, დომინანტურ პოლიტიკურ დისკურსებსაც გაუმკლავდებიან. ურთიერთსოლიდარობა

დანახულია, როგორც ერთ-ერთი გამოსავალი ქალთა დემონიზების წინააღმდეგ. **ნინო დოლიძე** ფიქრობს, რომ შემდეგი არჩევნებიც, არ არის მოსალოდნელი, რომ შინაარსზე დაფუძნებული იქნება. და ქალების ინფორმირების საკითხი კიდევ უფრო რთულდება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რადგან მედიაც არ არის სიღრმისეული და შინაარსებზე ორიენტირებული. მანვე აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ გააკეთებს პოლიტიკურ კამპანიებს, ორიენტირი, ძირითადად, იქნება პოლიტიკურ განათლებაზე, ვიდრე პარტიების კამპანიებისთვის მხარდაჭერაზე.

კითხვა-პასუხის ფარგლებში, დისკუსია, ასევე, შეეხო იმას, რომ შეიძლება ქალი პოლიტიკოსების, როგორც რესურსების გამოყენება სხვადასხვა პროექტების დროს ამომრჩეველთან ურთიერთობისას. ქალთა მოწყვლადობა მმართველი პარტიის აქტივის მხრიდან კვლავ დაისვა დისკუსიის საგნად, განსაკუთრებით რეგიონებში, თუ როგორ შეიძლება შესუსტდეს ეს წნეხი ქალებზე რეგიონებში. დისკუსიის დროს ასევე ხაზი გაესვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ დისკუსიებს და გამოსავლის გზებზე მსჯელობებს ესწრებოდეს და მათში მონაწილეობდეს საჯარო უწყებები და ის გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებსაც შეუძლიათ საკითხებზე რეალური რეაგირება.

## პანელი II: ქალი პოლიტიკოსები და შიდაპარტიული დემოკრატია

**24 მაისი, 2023**

| | |
|---|---|
| **მოდერატორი:** | **დავით აფრასიძე** - პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **მომხსენებლები:** | • **სალომე კანდელაკი** - პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)<br>• **ხატია დეკანოიძე** - პარლამენტის წევრი, დამოუკიდებელი დეპუტატი<br>• **ანა ნაცვლიშვილი** - პარლამენტის წევრი, პარტია ლელო საქართველოსთვის<br>• **ანა ბუჩუკური** - პარლამენტის წევრი, პარტია გახარია საქართველოსთვის |

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- როგორია პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდაპარტიული დემოკრატია ქალ წევრებთან მიმართებით?
- რამდენად ადეკვატურია ქართულ პარტიებში არსებული რეალობა, რათა ქალი პოლიტიკოსების ხედვები ჯეროვნად იყოს შეტანილი პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგში?
- რა შეიძლება შეცვალონ პარტიებმა იმისთვის, რათა მაქსიმალურად გაზარდონ ქალი წევრების ჩართულობა და მათი ეფექტიანობა პარტიულ საქმიანობაში?

მეორე პანელის დასაწყისში მოდერატორმა, **დავით აფრასიძემ** აღნიშნა, რომ ქალი პოლიტიკოსები არიან პოლიტიკურ პარტიებსა და ქალი ამომრჩევლების მაკავშირებლები. იმისთვის, რომ ამ საკითხზე უფრო ფართოდ ემსჯელა აუდიტორიას, პირველ რიგში მოდერატორმა წარადგინა **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი, სალომე კანდელაკი,** რომელმაც პოლიტიკოსებთან ერთად დისკუსიის დაწყებამდე თავისი პოლიტიკის ნარკვევის შედეგების პრეზენტაცია გააკეთა.

სალომე კანდელაკის ნაშრომი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისების შიდაპარტიულ მექანიზმებს და ამ მხრივ მათ არსებულ გამოწვევებს ეხებოდა. მან შესავალში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება მიუხედავად იმ სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმებისა რაც საქართველოში დღესდღეობით არსებობს გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ამავდროულად, მან NDI-ის ბოლო გამოკითხვის შედეგები მოიშველია, რის მიხედვითაც მოსახლეობის 56% მიიჩნევს, რომ ქალებს და კაცებს თანაბრად შეუძლიათ პოლიტიკაში მათი ინტერესების გატარება და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მათ სურთ მეტი ქალი იხილონ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. შესაბამისად, მისი თქმით, მნიშვნელოვანია რომ პოლიტიკურმა პარტიებმა გადახედონ თავიანთ სტრატეგიებს და მეტად გააძლიერონ გენდერული თანასწორობის კომპონენტი თავიანთ პარტიებში.

სალომე კანდელაკმა თავის გამოსვლაში გამოყო ქალების პოლიტიკაში ჩართვის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები და ისაუბრა იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებენ მათ პოლიტიკური პარტიები. მან პოზიტიურ ჭრილში მოიხსენია საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შემოღების სამართლებრივი მექანიზმი, რისი წყალობითაც დღესდღეობით გაზრდილია წარმომადგენლობა როგორც მუნიციპალურ დონეზე, სადაც ქალთა წარმომადგენლობა 24%-ია, ისე საპარლამენტო დონეზე, სადაც ქალთა წარმომადგენლობა 19%-ია. თუმცა, მან იქვე დასძინა, რომ გენდერული დისბალანსი ჯერჯერობით სახეზეა და თანასწორობის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო. რაც შეეხება ინსტიტუციურ მექანიზმებს, მან გამოყო გენდერული თანასწორობის საპარლამენტო მუდმივმოქმედი საბჭოს ეფექტიანობა, სადაც მმართველი პარტიის და ოპოზიციის დეპუტატებს თანაბრად შეუძლიათ ინიცირება. ხოლო ამის საპირისპიროდ გამოკვეთა ადგილობრივ თვითმმართველობებში და საკრებულოებში არსებული გენდერული საბჭოების არაეფექტიანობა და მისი წევრი მამაკაცი წარმომადგენლების თემის მიმართ ინერტულობა, გენდერულ საკითხებზე დაბალი მგრძნობელობა დაბალი ცნობიერების და გაუაზრებლობის გამო. სალომე მიიჩნევს, რომ პარტიებმა მნიშვნელოვნად უნდა გააძლიერონ რეგიონულ დონეზე საინფორმაციო კამპანიები გენდერული თანასწორობის საკითხზე ცნობიერების ასამაღლებლად.

სალომემ პოლიტიკური პარტიების ინდივიდუალური ტაქტიკების საკვლევად 8 საპარლამენტო პარტია გამოყო, რომელთაგანაც გენდერულად ყველაზე დაბალანსებული პოლიტსაბჭო პარტია სტრატეგია აღმაშენებელს აღმოაჩნდა, სადაც 33% ქალი წარმომადგენელია, ხოლო ყველაზე დაუბალანსებელი 11%-ით ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. რაც შეეხება პარტიების ე.წ. აღმასრულებელ ორგანოს, სამდივნოს, ასეთი შიდა პარტიული ორგანო 8-დან მხოლოდ 4-ს აღმოაჩნდა და ამ ოთხიდან მხოლოდ პარტია ლელო საქართველოსთვის ჰყავს სამდივნოში ქალი წარმომადგენლები, თანაც უმრავლესობაში, კერძოდ 7-დან 4 ქალი. ხოლო პარტიებში ქალების გასაძლიერებლად შიდასტრუქტურულ მექანიზმს რაც შეეხება, ასეთი ოთხ პარტიას გააჩნია: ქართულ ოცნებას და სტრატეგია აღმაშენებელს ქალთა ორგანიზაციის სახით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ე.წ. "ქალთა ფრთხის საბჭოს" სახელით და ლელო საქართველოსთვის "ქალთა 12-ეულების" ფორმით. გამოიკვეთა რომ ოთხივეს შემთხვევაში ქალთა საბჭოები, თუ ორგანიზაციები მოიაზრებს რეგიონული ქსელების შექმნას და ამ მხრივ საქართველოს მასშტაბით ქალ ამომრჩევლებთან უკეთ შეკავშირებულობას.

8 საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით სალომემ გამოკვეთა ოთხი მთავარი ბარიერი რასაც ქალები აწყდებიან პოლიტიკაში ჩართვის თვალსაზრისით და რის გამოც პოლიტიკურ პარტიებს უძნელდებათ მათი მოზიდვა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, პირველი ეს არის ქალი პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნაკლები სიმპათია და ნდობა. მან ახსენა რომ ქალებს გაცილებით დიდი ძალისხმევის ჩადება უწევთ და მეტი დროც ესაჭიროებათ ხალხის ნდობის მოსაპოვებლად, ვიდრე კაცებს, შესაბამისად როცა არჩევანის საშუალებაა, პარტიებიც კაც კანდიდატს არჩევენ საარჩევნო მარათონისთვის. მეორე რაც სალომემ დაასახელა არის ქალებისთვის ოჯახის მხრიდან პოლიტიკაში ჩართვაზე უარის თქმა; მესამე ფაქტორად მან დაასახელა ქალსა და მამაკაცს შორის ოჯახური შრომის გადანაწილების დაბალი კულტურა, რის გამოც ქალებს პოლიტიკური კარიერის მიტოვება უხდებათ ხოლმე; და ბოლოს, მან ისაუბრა საზოგადოების ქალების მიმართ ნაკლებ ტოლერანტობაზე, კერძოდ იმაზე, რომ ქალზე ბულინგის, ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში და მათი მხრიდან გადაცდომების შემთხვევაში საზოგადოება ქალის მიმართ უფრო კრიტიკულია, ვიდრე კაცის მიმართ.

ამგვარად, მკვლევარმა რამდენიმე ძირითადი მიგნება გამოყო. პირველი ის, რომ პარლამენტში საკითხების გარშემო ქალი პოლიტიკოსები უფრო მარტივად ერთიანდებიან; მან ასევე თქვა, რომ ქალი პოლიტიკოსების მიმართ დისკრიმინაციის დაგმობის კუთხით პარტიებს არაერთგვაროვანი რეაქციები აქვთ, შესაბამისად ტენდენციურობას გაუსვა ხაზი. მან აღნიშნა, რომ გენდერულ თანასწორობასთან  დაკავშირებით დაბალია მგრძნობელობა და ცნობიერება რეგიონებში, შესაბამისად ერთ-ერთ რეკომენდაციად რეგიონებში გენდერულ მეინსტრიმინგზე ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელების აუცილებლობა დაასახელა. მან ასევე აღნიშნა, რომ ინტერვიუებიდან გამოიკვეთა რომ პარტიებში არსებული ქალთა საბჭოების მიზანი უფრო მეტად ქალი ამომრჩევლების მოზიდვაა, ვიდრე მათი პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა. საბოლოოდ მან განმარტა, რომ არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, გენდერული კვოტირება დღესდღეობით ერთადერთი გზაა ქალების პოლიტიკურად გააქტიურების და პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მეტნაკლებად დასაცავად.

საკითხზე თავიანთ გამოცდილებებზე დაყრდნობით უფრო კონკრეტულად თავად პოლიტიკოსებმა ისაუბრეს. პანელის მეორე უკვე პოლიტიკოსი მომხსენებელი **პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, ხატია დეკანოიძე** იყო. მან თავიდანვე აღნიშნა, რომ ქალ პოლიტიკოსებს პარტიებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე ნამდვილად აქვთ ბარიერები. მან თავისი გამოცდილება გაუზიარა აუდიტორიას და თქვა რომ მას აქვს ყველაზე მასკულინურ სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კერძოდ ის მუშაობდა პოლიციაში და იყო ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი პოლიციის უფროსი. თუმცა მან ყურადღება გაამახვილა იმაზე რომ როდესაც ის 2019 წლიდან პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი გახდა, მან გაიაზრა, რომ  გაცილებით უფრო მეტი სექსიზმით და მიზოგენიით სავსეა პოლიტიკური პარტია. მან ახსნა რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მან დატოვა პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შიდა პარტიული დემოკრატიის არარსებობა იყო. მან თამამად თქვა რომ პოლიტიკურ პარტიებში დღეს ქალები გადაწყვეტილებებს არ იღებენ. მისი თქმით, ისინი რა თქმა უნდა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებები არ მიიღება იმ მაგიდის გარშემო რის გარშემოც ქალები სხედან. მისი ახსნით, ამის მთავარი მიზეზი არის ის რომ პოლიტიკური პარტიების

უმაღლესი პირები ძირითადად კაცები არიან  და მეორე მიზეზად კი ფინანსური კაპიტალის კაცების ხელში ყოფნა დაასახელა. მან განაცხადა რომ მის ყოფილ პარტიაში ქალ პოლიტიკოსებს ფასადური როლი გააჩნდათ, რომლებიც კარგად ლაპარაკობდნენ და ნაკლებად კონფლიქტურობით გამოირჩეოდნენ.

ხატია დეკანოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალთა ორგანიზაციების პოლიტიკურ პარტიებში არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა მისი თქმით, ამჟამად, პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ორგანიზაციებსაც ფასადური როლი აქვთ. ის მიიჩნევს, რომ სანამ ქალები არ იქნებიან პოლიტიკურ ორგანიზაციებში ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღებები, მანამდე ასეთი ფასადური დარჩება მათი წარმომადგენლობა. იგი დაემოწმა პირველი პანელის მომხსენებელს, თამთა მიქელაძეს და აღნიშნა რომ იმ პოლარიზებულ, სიძულვილით და ტოქსიკური ენით გაჟღენთილ გარემოში რომელშიც საქართველოა, ძალიან რთულია ქალი პოლიტიკოსებისთვის, განსაკუთრებით არჩევნებზე. მისი თქმით მან ორი არჩევნები გამოიარა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის და მისი შეფასებით ეს ძალიან მძიმე პერიოდია ქალი პოლიტიკოსებისთვის, მათ შორის მისნაირებისთვის რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მარტივად მიაწვდინონ მედიას ხმა და ვისაც ეს არ შეუძლია, მათთვის მისი თქმით ალბათ ბევრად რთულია. დეკანოიძემ ასევე ისაუბრა ზეწოლაზე სოციალურ მედიაში, ოჯახის წევრების მხრიდან რაც ქალ პოლიტიკოსებზე ხორციელდება და ასევე კაცების მხრიდან ქალების ინსტრუმენტალიზაციაზე, როგორც თავდასხმის ობიექტის გამოყენებაზე. მისი რჩევით, ერთადერთი მზა რეცეპტი რაც შეიძლება მისი აზრით მოხდეს არის გაიზარდოს ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში. ის თვლის, რომ რაც უფრო მეტად არაფორმალურად მიიღება პარტიაში გადაწყვეტილებები, მით უფრო ნაკლებია ქალების როლი, რადგან ქალი არაფორმალური მმართველი თითქმის არ არსებობს. მისი აზრით ქალს სხვანაირი მგრძნობელობა აქვს, ქალი მმართველი სხვანაირი საკომუნიკაციო უნარით გამოირჩევა და ქალ მმართველს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს მის გარშემო. მან თქვა რომ ის უფრო კომფორტულად იქნებოდა, თუ საქართველოს პარლამენტში უფრო მეტი ქალი იქნებოდა ვიდრე არის. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტში არსებობს ქალებს შორის თანამშრომლობის ფორმატი, რაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი ფაქტორია მისთვის. ის აღნიშნავს, რომ მოხარული

იქნებოდა თუ ასეთი თანამშრომლობის ფორმატში ქართული ოცნების ქალი წარმომადგენლებიც იქნებოდნენ, მაგრამ მისი თქმით სამწუხაროდ ისინი არ თანამშრომლობენ. კაცების შემთხვევაში ყველაზე დიდი პრობლემა მათ შორის კომუნიკაციის პრობლემაა, ხოლო ქალებს ასეთი წინაღობები ნაკლებად აქვთ.

ხატია დეკანოიძის გადმოსახედიდან, ინსტიტუციური მხარდაჭერა ყველასთვის მნიშვნელოვანია. თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე თქვა, რომ პარტიიდან როცა მოდიხარ აღარ გაქვს ინსტიტუციური მხარდაჭერა. დამოუკიდებლბის ხარისხი მისი თქმით დიდი გაქვს ამ დროს, მაგრამ გაკლდება ინსტიტუციური ხელშეწყობა. ხოლო წამახალისებელ მექანიზმად დაასახელა გენდერული კვოტები, მეტი ქალის ყოფნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასევე ახსენა რომ რეგიონებში ქალების გაძლიერებაზე როდესაც ვსაუბრობთ შესაძლებელია შემოღებულ იქნას ე.წ. "მენტორშიპი" რაც შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყოს მხარდაჭერილი და ასევე ეროვნული დონის პოლიტიკოსებისგანაც.

პანელის შემდეგი მომხსენებელი იყო **საქართველოს პარლამენტის წევრი, პოლიტიკური ორგანიზაცია „ლელოს" წარმომადგენელი, ანა ნაცვლიშვილი**. მისი თქმით, ქალთა უფლებებზე საუბარი მისთვის მწვავე პოლიტიკური საკითხების ჩამონათვალშია. ნაცვლიშვილი აღნიშნავს, რომ როცა საუბარია თემაზე „ქალები პოლიტიკაში", მეტად საბაზისო პრობლემებს ვაწყდებით. პოლიტიკოსების უდიდეს ნაწილს უბრალოდ არ ესმის, რატომ გამოიყოფიან ხოლმე ქალი პოლიტიკოსები ცალკე და არ აღიარებენ რომ სხვა საჭიროებებისა და გამოწვევების მქონე პოლიტიკური ფიგურაა. შესაბამისად, ამ სტრუქტურული უთანასწორობის არდანახვა არის რეალობა, რომელშიც ქალ პოლიტიკოსებს უწევთ გზის გაკვალვა. კაც პოლიტიკოსთა ნაწილი ჩვენს პრობლემებს აღიქვამს როგორც პერსონალურს და არა სისტემურს. ისინი მიიჩნევენ რომ ქალები უნდა მოერგონ ამ სისტემას და არა პირიქით.

ანა ნაცვლიშვილმა თავის მოხსენებაში ქალებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოყო - დრო, რომელიც, მისი თქმით, პოლიტიკოსი ქალებისთვის უდიდესი დაბრკოლებაა. აღნიშნული რეალობის უმთავრეს მიზეზად ნაცვლიშვილმა შინ შრომის უთანასწორო განაწილება დაასახელა. ასევე, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო სისტემა და საჯარო

უწყებები. ასევე, დროა უმთავრესი რესურსი როცა საქმე ეხება ქალი პოლიტიკოსის თვითგანვითარებასა და იმიჯის შექმნას, რომლის გარეშეც ძნელი წარმოსადგენია აღნიშნულ სფეროში მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევა.

შიდაპარტიული დემოკრატია კიდევ ერთი კრიტიკული თემა აღმოჩნდა, რომელიც ნაცვლიშვილმა გამოყო. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიები ხშირად ქალს უფრო პრეზენტაციულ როლებს ანიჭებენ, ვიდრე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებ ფუნქციას.

ანა ნაცვლიშვილმა ქალების წინაშე არსებული ფინანსური უთანასწორობის პრობლემაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სახალხო დაფინანსების მექანიზმები, რომელიც პოლიტიკოს ქალებს კარიერული გაძლიერების დამატებით საშუალებას მიცემდა. „ლელოს“ წარმომადგენლის თქმით, ქალი პოლიტიკოსისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კაპიტალი რეპუტაციაა, სადაც ქალებს კიდევ ერთი ბარიერი ხვდებათ, დროის დეფიციტის სახით.

მოხსენების დასასრულს, ანა ნაცვლიშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პარტიებში ქალ პოლიტიკოსებს რეალური და სამართლიანი პირობები უნდა შეუქმნან და არა ფასადური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკის შექმნას არ უნდა ველოდოთ.

პანელის ბოლო მომხსენებელი გახლდათ **საქართველოს პარლამენტის წევრი, პარტიის "გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენელი, ანა ბუჩუკური**. მისი თქმით, 2023 წლის მარტის მოვლენებმა ნათლად აჩვენა ქალი პოლიტიკოსების მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში, კერძოდ ქალი პარლამენტარების როლი მთავარი საკანონმდებლო ორგანოს ცხოვრებაში.

ბუჩუკურის დაკვირვებით, ქალი პოლიტიკოსები დღის წესრიგში ყველაზე ხშირად აყენებენ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებსა და გენდერულ საკითხებს, რადგან აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მეტად სენსიტიურები არიან, ვიდრე კაცები. მისი თქმით, კაცი პოლიტიკური ლიდერები რიგი მიზეზების გამო თავს არიდებენ გენდერულ პრობლემებზე საუბარს. ანა ბუჩუკურმა დასძინა, რომ მისი პირადი გამოცდილებიდან

გამომდინარე, ქალი ამომრჩეველიც ელექტორატის განსაკუთრებული ნაწილია და გამორჩეული აქტიურობით ხასიათდება.

პარტია "გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენელმა მოხსენების დასასრულს ახალგაზრდა ქალების პოლიტიკაში ჩართვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მისი თქმით, როცა ახალი თაობა პოლიტიკოსი ქალების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებს უყურებს, ისინი პოლიტიკას აღარ უკავშირებენ თავიანთ მომავალს. მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებელი საჭიროება დგას.

## პანელი III: ქალი ამომრჩევლის პოლიტიკური ჩართულობა და წახალისების გზები

**24 მაისი, 2023**

| | |
|---|---|
| **მოდერატორი:** | **ლევან ცუცქირიძე** - აღმასრულებელი დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD) |
| **მომხსენებლები:** | • **მარიამ კობალაძე** - მკვლევარი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC - საქართველო)<br>• **სონია შიფფერსი** - თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი<br>• **თამარ ბაგრატია** - ექსპერტი გენდერის საკითხებში<br>• **ელენე რუსეცკაია** - დირექტორი, დამფუძნებელი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC) |

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- როგორია ქალი ამომრჩევლის განწყობები საქართველოში?
- რა ნაბიჯები შეიძლება გადადგან პოლიტიკურმა პარტიებმა ქალი ამომრჩევლის ჩართულობის მეტად წასახალისებლად?
- პოლიტიკური პარტიების გარდა, როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება ქალი ამომრჩევლის ნარატივისა და მათი ჩართულობის გაძლიერებისთვის?
- ქალი ამომრჩევლის მეტად გააქტიურებისთვის რა საერთაშორისო გამოცდილებები არსებობს და რისი გამოყენება შეუძლიათ საქართველოს პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას წარმატებული მაგალითის სახით?

**აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD) დირექტორის, ლევან ცუცქირიძის** თქმით *ჯეოდემის* (GeoDem) კონფერენციები უკვე არის ქართული

დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და ძალიან მნიშვნელოვანია რომ გრძელდებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას რომელსაც აინტერესებს საგნობრივი მსჯელობა მნიშვნელოვან თემებზე, ჰქონდეს ამის შესაძლებლობა. ეს არის ასევე პოლიტიკური სოციალიზაციის ნაწილი, რომ განსხვავებული შეხედულებების ადამიანები იკრიბებოდნენ მრგვალ მაგიდისა, თუ პანელის გარშემო და მსჯელობდნენ, საუბრობდნენ. მისი გადმოსახედიდან მსგავსი პლატფორმები მნიშვნელოვანია პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე ცივილურობის შესანარჩუნებლად.

მოდერატორმა აღნიშნა, რომ ბევრი არ იცვლება ქალთა მონაწილეობის კუთხით და ეს არის ყველას პრობლემა: ეს არის პარტიების პრობლემა, დონორებისა და პარტნიორებისთვის საკითხი, რომელზეც მსჯელობენ  და ეს არის ქართული დემოკრატიის პრობლემა, რადგან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებში ჯეროვანი პოლიტიკური თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ჩვენ მივაღწიოთ ხელშესახებ პროგრესს. მან ასევე კრიტიკულად შეაფასა, მათ შორის თავისი ორგანიზაციის მუშაობაც ამ მხრივ, ვინაიდან ის ფიქრობს რომ მეთოდები და მიდგომები და სტრატეგიებიც არის შესაცვლელი და ილუზიები იმის თაობაზე, რომ თუ ქართული პოლიტიკური პარტიების წევრებს *დაატრენინგებენ* იმაში, რომ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა კარგი საქმეა, მას აღარ აქვს.

ბოლო პანელის პირველი მომხსენებელი **მარიამ კობალაძე, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მკვლევარი (CRRC - საქართველო)** იყო. მან გააკეთა სხვადასხვა საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგების პრეზენტაცია, სადაც გენდერული საკითხები იყო ნახსენები. ის მონაცემები რომლებიც მან წარადგინა, ძირითადად აღებული იყო კავკასიის კვლევის რესურს ცენტრის ბაზიდან (CRRC).

მისი თქმით, ცესკოს 2021 წლის არჩევნებში რეგისტრირებული ამომრჩევლების 54%-დან 1 800 000-ზე მეტი იყო ქალი, რაც საქართველოსთვის საკმაოდ დიდი რიცხვია. რაოდენობრივად ქალები და კაცები აქტიურობით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ვინაიდან უფრო მეტი ქალია რეგისტრირებული, პროცენტულად კაცების აქტიურობა ოდნავ უფრო მაღალია. მისი ახსნით, მიუხედავად ქალი ამომრჩევლის ასეთი დიდ რიცხვისა, ქალები არჩევით ორგანოებში არ არიან საკმარისად წარმოდგენილნი. მან აუდიტორიას აჩვენა მონაცემები, რის მიხედვითაც თბილისში 50 საკრებულოს წევრიდან

მხოლოდ 13 (26%)-ია ქალი, ქუთაისში 21-*დან* 8 (38%) და ბათუმში 35-*დან* 10 (28%). მისი ახსნით, ფართო სურათში ეს მზარდი რიცხვია, რადგან აქამდე ასეთი დიდი რაოდენობა ქალების არ ყოფილა. მარიამ კობალაძის თქმით, საზოგადოების მხრიდან დაკვეთაა ისიც, რომ ქალების წარმომადგენლობა უნდა გაიზარდოს და 62% მიიჩნევს რომ პარლამენტში საუკეთესო განაწილება იქნება 50-50-ზე ქალებსა და კაცებს შორის. ბოლო ათ წელიწადში ასეთი ადამიანების რიცხვი, ვინც ამას ემხრობა, თითქმის გაორმაგდა. მან ახსნა, რომ ზოგადად საკითხების უმრავლესობაზე გენდერული სხვაობა თითქმის არ გვხდება, გარდა პარლამენტში გენდერული წარმომადგენლობის საკითხზე.

CRRC-ის 2021 წლის კვლევა, რომელშიც ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, აჩვენებს, რომ დიდი ნაწილი ახალგაზრდებისა (43%) ეთანხმება რომ უნდა იყოს მეტი ქალი პოლიტიკაში, და მხოლოდ 11 პროცენტი ამბობს რომ მისთვის სულერთია. ახალგაზრდებს შორის არის სქესის მიხედვით განსხვავებაც, რომ ქალების უმრავლესობა ამბობს რომ მათთვის მნიშვნელოვანია მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკაში. კობალაძემ ახსენა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობამ კითხვაზე, რა ცვლილებებს მოუტანს ქალების პოლიტიკაში ჩართულობის გაზრდა, უპასუხა რომ ქალებისა და კაცების უფლებები გათანაბრდება და ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები. ასევე, უმრავლესობა მიიჩნევს რომ გაუმჯობესდება სექსუალური და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონების აღსრულების ეფექტურობა. 44% ახალგაზრდების ასევე მიიჩნევს იმასაც, რომ ქალების ჩართულობის გაზრდა სამშვიდობო პროცესში კონფლიქტების მოგვარებას შეუწყობს ხელს. მან თქვა, რომ 2021 წლის მონაცემებით, ახალგაზრდებს შორის ძალიან დაბალია პოლიტიკაში ჩართულობის და მონაწილეობის სურვილი. თითქმის მესამედია მათი რაოდენობა ვისაც აინტერესებს ქართული პოლიტიკა და ამიტომ ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის გარკვეული ქართულ პოლიტიკაში. ის მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობა ძირითადად არჩევნებში ხმის მიცემით შემოიფარგლება.

კობალაძემ ასევე გაავლო პარალელები და თქვა, რომ ჩვენი 2020 წლის კვლევა რომელიც ეხება მაჟორიტარი ქალების მიმართ ფეისბუქში გამოვლენილ ონლაინ ძალადობას, ადასტურებს წინა პანელზე გამოთქმულ მოსაზრებას სოციალურ სივრცეში არსებული

ტოქსიკური გარემოს შესახებ. მისი თქმით, კვლევაში გამოვლინდა ასევე ისიც, რომ ონლაინ ძალადობის ხასიათი ძალიან გენდერული იყო და ქალების მიმართ უფრო ხშირია პირადი თუ სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული კომენტარები, შეურაცხყოფები, ასევე მითითებები რომ წავიდეს სახლში და ოჯახს მიხედოს და ა.შ. ასევე, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საინტერესო ფაქტზე, რომ როცა ქალ კანდიდატებს ლანძღავდნენ ეს იყო პირადად მათკენ მიმართული, ხოლო კაცი მაჟორიტარების შემთხვევაში ეს ეხებოდა მათ ცოლებს ან დედებს. მისი ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ ონლაინ ძალადობის საშუალო კოეფიციენტის მიხედვით, ქალებს დაახლოებით სამჯერ უფრო მეტად ესხმიან თავს, ვიდრე კაცებს. იგი მიიჩნევს, რომ ონლაინ ძალადობა არის მნიშვნელოვანი ბარიერი ქალების პოლიტიკაში მეტი ჩართულობის გზაზე.

კონფერენციის შემდეგი მომხსენებელი იყო **ელენე რუსეცკაია, ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC) დამფუძვნებელი.** მისი თქმით საკმაოდ დიდ ხანს ცესკოს საიტზე არ არსებობდა სტატისტიკური მონაცემები ამომრჩევლის გენდერული გადანაწილების შესახებ. ის აღნიშნავდა, რომ მათი ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული ის, რომ ამის ხელით დათვლა აღარ ხდება. ის აღნიშნავს, რომ მათ მუშაობას ასევე მოჰყვა ისეთი შედეგები, როგორიც არის მაგალითად გენდერული კვოტების კანონმდებლობა, რომლის გატანის 6 მცდელობა ჰქონდათ სანამ შედეგი არ იქნა მიღწეული. საბოლოო ჯამში მან თქვა, რომ შედეგით კმაყოფილი არ არის, მაგრამ ციფრები გაიზარდა და გარკვეული წინსვლა მაინც არის.

მან სიამაყით დასძინა, რომ ყველას ძალისხმევის შედეგია, რომ რუსული კანონი არ გასულა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ძალა აქციებზე ქალები იყვნენ. მისი თქმით, ქალებში არის დიდი ძალა და მათ შეძლეს შედეგის მოტანა, თუმცა, ასევე მივიღეთ საპასუხოდ *ანტიგენდერული* მოძრაობა. ამიტომ ის თვლის, რომ დღეს საზოგადოებამ უნდა შევინარჩუნოთ მიღებული შედეგები და არ დაიკარგოს ისინი ამ *ანტიგენდერული* მოძრაობების ფონზე. იმაზე თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მან თქვა "ჩვენ დავინახეთ რომ, განსხვავებით დიდი ქალაქებისგან, სოფლად ქალები არიან შეშინებულები და მათ ეშინიათ თუნდაც საკუთარი მოსაზრების დაწერის. ხოლო შიშში ცხოვრება არის ძალიან ცუდი." ამიტომ, ის გამოსავლის გზად ხედავს ქალების პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მუშაობის გაძლიერებას, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, თვითდაჯერებულობას,

ფული და ეკონომიკური გაძლიერება და ძალაუფლება, რაც მოდის ამის შედეგად რომ უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდეთ პოლიტიკაში ჩართულობის.

მომხსენებლის თქმით მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიტიკოსები და განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღები პირები, რამდენიმე დღით მაინც გადავიდნენ სოფლად საცხოვრებლად რათა უკეთ გაიგონ თუ რეალურად რა საჭიროებები უდგას ხალხს, რამდენად ესმით მათ ის ენა, რაზეც პოლიტიკოსები საუბრობენ და რამდენად შეესაბამება რეალობას პოლიტიკოსების წარმოდგენები.

პანელური დისკუსიის მომდევნო მომხსენებელი **გენდერის საკითხებში ექსპერტი, თამარ ბაგრატია** იყო. მან ცესკოს და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით თქვა, რომ რაოდენობრივად შეიძლება უფრო მეტი ქალი მოდის არჩევნებზე, მაგრამ აქტივობა ქალების ბევრად უფრო დაბალია ვიდრე კაცი ამომრჩევლის. მაგალითად, 2021 წელს ეს სხვაობა იყო 5,3% კაცების სასარგებლოდ. 2020 წელს ყველაზე მაღალი - 9%, 2014 – 6,25%, 2016 – 5,6%, 2017 – 6,07% და 2018 – 5,1%. მისი ანალიზის მიხედვით, ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მიგრაციის ფემინიზაცია, რაც ნიშნავს იმას რომ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ქალია, მაგრამ ზუსტი პასუხი ამაზე არ ჯერჯერობით არ აქვს.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ამ მონაცემებს ვნახავთ მუნიციპალიტეტების ჭრილში, სიტუაცია კატასტროფულია. საქართველოს აქვს ზოგიერთი საარჩევნო ოლქი, სადაც ქალთა აქტივობა 20%-*ითაც* კი ჩამორჩება მამაკაცთა აქტივობას. ეს იმდენად დიდი სხვაობაა, რომ ამ მუნიციპალიტეტებში დამატებით სამუშაოს საჭიროებს. როგორც მან მონაცემებში ნახა, ყველაზე დიდი სხვაობები დაფიქსირდა მცხეთაში, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, ახალქალაქში, ჩოხატაურში, ზუგდიდში, ქედაში, ქობულეთში, ხულოში, ხელვაჩაურში, საგარეჯოში, შუახევში. მან ახსნა, რომ ამ მუნიციპალიტეტებში ქალთა პასიურობა, მამაკაცებთან შედარებით 10%-ს აჭარბებდა. ამიტომ მან ახსნა, რომ სწორედ აქ უკვე გავდივართ რაღაც გეოგრაფიულ ლოგიკაზე, რომ ამ ოლქებში არიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები კომპაქტურად დასახლებულები. ამას დამატებით, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასევე პრობლემაა მთის ქალების ნაკლები ინფორმირებულობა.

მისი გადმოსახედიდან, ძალიან მნიშვნელოვანია არამხოლოდ ის, რომ ქალი მიდის არჩევნებზე, არამედ ისიც თუ რამდენად დამოუკიდებელ არჩევანს აკეთებს და რამდენად გამოხატავს მისი არჩევანი დამოუკიდებელ არჩევანს. ვინაიდან, განსაკუთრებით რეგიონებში, ქალების პოლიტიკურ ნებაზე გავლენას ახდენენ მეუღლეები, დამსაქმებლები, თვითმმართველობის წარმომადგენელი და ოჯახის არაფორმალური ლიდერი.

ბაგრატიას მტკიცებით, სტატისტიკურად საშუალოდ მილიონი ქალი არ მიდის არჩევნებზე, რაც ნიშნავს იმას რომ ასეთი დიდი რაოდენობა ამომრჩევლის არ მონაწილეობს მაგალითად, პარლამენტის ლეგიტიმაციაში.

დისკუსიის ბოლო მომხსენებელი, **ჰაინრიხ ბიოლის ფონდის კავკასიის ოფისის დირექტორი სონია შიფერსი** იყო. მან აუდიტორიას თავისი, როგორც უცხოელის, საქართველოში პირველად ჩამოსვლის დროს მიღებული გამოცდილებები გაუზიარა. მან აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა ყველა გავლენიანი ქალით, მაგალითად სამოქალაქო საზოგადოებაში, და იმ სამუშაოს რასაც ისინი ეწევიან. ასევე აკვირდებოდა ეუთოს ფარგლებში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და თითქმის ყველა საარჩევნო კომისიის წევრი იყო ქალი და მასზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქალების ასეთმა ჩართულობამ. ამის პარალელურად მან თქვა, რომ თუმცა, ამ ერთი მახრის გარდა, რომ ქალები არიან ძალიან ძლიერები, ეს ძალა არ გადაზრდილა მათ პოლიტიკურ ძალაუფლებაში. მაგალითად, წარმომადგენლობა, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რის გაზრდისკენაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია კვოტების შემოღება, თუმცა, ჩემი აზრით, არც საკმარისად მაღალი არაა. მისი შეფასებით, უბრალოდ წარმომადგენლობა არ არის საკმარისი, ის ასევე უნდა იყოს არსებითი.

მან ასევე ისაუბრა თავისი ფონდის გამოცდილებაზე და თქვა, რომ უკვე წლებია ფონდი ცდილობს ხელი შეუწყოს ქალების აღქმას საზოგადოებაში, იმას თუ როგორ ხედავენ ქალები საკუთარ თავს და ხელი შეუწყოს ე.წ. ფემინისტურ გავლენებს საქართველოში. ამავდროულად მან თქვა, რომ ქართული ფემინიზმის ისტორია ძალიან ძველია. პირველი ქართველი ფემინისტები არსებობდნენ უკვე მე-19 საუკუნის 60-იანებში. მათ დააფუძნეს პირველი ფემინისტური გაზეთი პირველი რესპუბლიკის დროს, ასევე იყვნენ კავშირში დასავლელ ფემინისტებთან და მათი პრაქტიკები შემოიტანეს საქართველოში.მაგალითად,

კატო მიქელაძე, რომელმაც შექმნა ქალთა ლიგა დასავლეთ საქართველოში. მისი თქმით, ის იაზრებს, რომ რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირმა შემდეგ ძალიან შეიზღუდა და რეპრესიებში მოაქცია აქტიური ქალები და არამხოლოდ ქალები. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალთა მოძრაობების კომერციალიზაცია მოხდა. მაგალითად ქალთა დღის, 08 მარტის. თუმცა, 2010 წლიდან განსაკუთრებით, საქართველოში შეიმჩნევა ქალთა აქტიურობა და 08 მარტის როგორც უფლებებისთვის ბრძოლის დღის დაბრუნების მცდელობა. მისი თქმით, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა წლევანდელი მარტის აქციებზე.

გარდა ამისა, ის შეეხო ქალების უფლებების ინსტრუმენტალიზაციის საკითხს. ის ფიქრობს, რომ მაგალითად პოლონეთში მმართველი პარტია ცდილობს სოციალური პოლიტიკის და პროგრამების მეშვეობით ქალი ამომრჩევლის მოზიდვას. ან ქალთა საბჭოები, არის შემთხვევები, როდესაც იქმნება არა ქვემოდან-ზემოთ პრინციპით, არამედ იქმნება მხოლოდ უბრალოდ წარმოდგენის შექმნისთვის, რომ თითქოს პარტიაში არსებობს გენდერული წარმომადგენლობა.

მისი თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ ქალების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდას ხელს უშლის საოჯახო საქმეები. მაგალითად ის, რომ პოლიტიკურ შეკრებაზე წასვლა რთულია ვინაიდან არ იცი რა უყო შენ შვილს. პარტიაში ყოფნა და აქტიურობა მოითხოვს დიდ დროს, ღამე და შაბათ-კვირასაც მუშაობას, არის ძალიან ქაოსური, ამიტომ როცა ბავშვები გყავს, ეს ძალიან რთულია.

ძირითადი გამოსვლების შემდეგ, აუდიტორიას მიეცა კითხვების დასმის და კომენტარების გაკეთების საშუალება. პანელისტებთან რამდენიმე შეკითხვა დაისვა, პირველი შეკითხვა ეხებოდა იმას თუ რატომ არ ვზეიმობთ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი ქალი გვყავს, იმიტომ ხომ არა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ მოხვდება ქალი პოლიტიკოსი იქ სადაც მოხვდება. და თუ ეს ასეა, ხომ არ აყენებს ეს კითხვის ნიშნის ქვეშ, ზოგადად კვოტების ეფექტურობას ქალების გაძლიერებისთვის. გარდა ამისა, აუდიტორიიდან დაისვა შემდეგი კითხვა პოლარიზაციაზე და რამდენად იქნებოდა პოლარიზაციის შემცირება შესაძლებელი წარმომადგენლობით ორგანოებში მეტი ქალის ყოფნის შემთხვევაში. ასევე იკითხეს, ზოგადად პანელისტები თუ ხედავდნენ რაიმე გზას თუ როგორ შეუძლიათ ქალებს სამოქალაქო საზოგადოებიდან თუ პოლიტიკიდან, პოლარიზაციის შემცირებაში წვლილის

შეტანა. ასევე დაისვა შეკითხვა ქალების სოციალურ მარგინალიზაციაზე და გამოსავალზე. ასევე ჟურნალისტმა კითხვა დასვა იმაზე მსჯელობენ, თუ არა სკოლებში ისეთ საკითხებზე როგორიც არის დემოკრატია და ქალთა უფლებები. და როგორ შეიძლება გავააქტიუროთ ეს და მივიდეთ მოზარდებამდე არა ეპიზოდურად არამედ მასშტაბურად და სისტემურად? ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ასევე იკითხა თუ რას ეყრდნობოდა თამარ ბაგრატიას მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა იმის შესახებ, რომ მილიონ ქალს არ მიუღია არჩევნებში მონაწილეობა და ქალების მიგრაცია ხომ არ არის რამე კავშირში ამ თემასთან, კერძოდ იმასთან რომ დიდი სხვაობაა ქალ და კაც ამომრჩევლების აქტივობას შორის?

საპასუხოდ, **სონია შიფერსმა** თქვა რომ ის ბოლო დროს სალომე ზურაბიშვილს გულშემატკივრობს და რომ ის არ არის ერთადერთი. მისი თქმით, რა თქმა უნდა, იყო ნახსენები თუ რატომ არის სალომე ზურაბიშვილის მიმართ დამოკიდებულება ასეთი, ვინაიდან რთულია იმ ადამიანის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა, რომელიც პოლიტიკაში არ მოვიდა, ასე ვთქვათ, თავისი დამოუკიდებელი პლატფორმით. მაგრამ, მან ახსენა რომ ზოგადად, ის მანამდეც საკმაოდ მაღალი დონის და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. მისი აზრით არასწორია ამ სპეციფიკური საკითხის კვოტებთან დაკავშირება. რადგან, როგორც წესი, ქალებს უფრო კრიტიკულად აფასებენ ვიდრე კაცებს. ხოლო კვოტები დაეხმარება ქალების წარმომადგენლობის გაზრდას.

**თამარ ბაგრატიამ** სტატისტიკურ შეკითხვაზე საპასუხოდ თქვა, რომ ცესკოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს არჩევნებზე არ მივიდა 1 327 000 ქალი, 2017 წელს 1 524 000 ქალი, 2016 წელს 946 698, 2014 წელს - 1 112 603. მან ასევე უპასუხა, რომ როცა იქნება ხელმისაწვდომი მონაცემები რომელსაც შეგვიძლია შევადაროთ მიგრაცია გენდერულ ჭრილში, შემდეგ შეგვეძლება ავხსნათ თუ რამდენად იქონია გენდერულმა მიგრაციამ გავლენა. მისი ახსნით, დღეს ჩვენ გვაქვს როგორც ემიგრანტთა დაბალი მონაწილეობა, ასევე ემიგრანტი ქალების ძალიან დაბალი მონაწილეობა არჩევნებში საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე.

შემდეგ შეკითხვებზე პასუხი გასცა ელენე რუსეცკაიამ და აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია ქვეყანამ იზეიმა. რაც შეეხება ქალთა უფლებადამცველებს, მათ იზეიმეს სტატისტიკით, ვინაიდან დაფიქსირდა, რომ ქვეყანას ჰყავს პირველი ქალი

პრეზიდენტი. ეს იყო ძალიან დიდი მიღწევა ქვეყნისთვის. მან ასევე თქვა, რომ ქალები ბუნებრივად და პროფესიულადაც მზად არიან მედიატორის როლი ითამაშონ სხვადასხვა პროცესებში, მათ შორის სამშვიდობო პროცესებში. ის თვლის, რომ ამ ეტაპზე პრიორიტეტია ამომრჩეველთან მუშაობა და შემდგომ, თუ იქნება ნიადაგი, არსებობს ასევე არჩეული მეთოდი, სადაც "პოლიტიკურ პარტიებს ყველას ვაჯენთ ერთად და ქალებს ვამზადებთ იმისთვის რომ ერთდროულად ყველა პარტიის ლიდერს დაუსვან მათთვის საჭირბოროტო საკითხები და მოისმინონ პასუხები." მან განავრცო, რომ სამოქალაქო სექტორისთვის პრინციპულია ყველა პარტიასთან მუშაობა და არა რომელიმესთან ცალკე. ამიტომ, ეს მომენტი არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**მარიამ კობალაძემ** თავის პასუხში განმარტა, რომ კვლევებში არ არის ხოლმე დიდი სხვაობა ქალ და მამაკაც რესპონდენტთა პასუხებს შორის. მაგრამ ბოლო მარტის გამოკითხვებში იყო ერთი საინტერესო ასპექტი, რომ ქალები უფრო ნაკლებად ამბობენ, ვიდრე კაცები, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები რუსეთთან, რაც ყურადსაღებია. კითხვა-პასუხის შემდეგ, მოდერატორმა შეაჯამა პანელური დისკუსია და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობა ბევრად გაიზრდებოდა და მათი ჩართულობა უფრო ხარისხიანი გახდებოდა.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

www.gip.ge